MES 6 22 0000258868

15/03/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 5 მარტს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86963849053?pwd=eTRmdWdqZlFTazZ5NGtZVFVJY1hLdz09

Meeting ID: 869 6384 9053
Passcode: 060332

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი - უნივერსიტეტის რექტორი;
გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟი“
კონსტანტინე დოლიძე - დირექტორი;
ია ნადირაძე - დირექტორის მოადგილე;
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
თეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი;
მაკა კიკნაძე- სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
ნატო დაღუნდარიძე - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
ვასილ კიკნაძე - შესყიდვების სპეციალისტი;
გივი თამარაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა'' ხელმძღვანელი;
მალხაზი სამადაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე'' ხელმძღვანელი;
ნინო ჭავჭანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება'' ხელმძღვანელი;
ელიკო სიდონაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული ქსოვა'' ხელმძღვანელი;
გიორგი ნარსია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება'' ხელმძღვანელი;

ლეილა თარხნიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია'' ხელმძღვანელი;
გიორგი დოლიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება'' ხელმძღვანელი;
ივანე ხუცურაული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ხელმძღვანელი;
გაგა ბუიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა-მეღვინეობა'' ხელმძღვანელი;
ლევან შავაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა-მეღვინეობა'' ხელმძღვანელი.

სსიპ - კოლეჯ „მერმისი"
ნონა ღუდუშაური - დირექტორი;
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ცისკარა ზარანდია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
სოფიო მაჭარაშვილი - აკადემიის რექტორი
ალინა კუპრავა - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი"
ნინო ქავთარაძე - კოლეჯის დირექტორი;
დიანა გოშაძე - დირექტორის მოადგილე ;
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ნინო მთვარელიძე - მარნეულის მენეჯერი;

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარი"
ბელა ავალიშვილი - დირექტორი ;
მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი ;
ინოლა გაჩეჩილაძე - ხარისხის სპეციალისტი;
ლია ინასარიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი;
ზაური ზედგინიძე - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;

სსიპ - კოლეჯ „სპექტრი"
როინ(მათე) ტაკიძე - კოლეჯის დირექტორი;
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ეკატერინე მაძღარაშვილი - იურისტი;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
სულხან სულხანიშვილი - დირექტორი
თინათინ ენდელაძე - დირექტორის მოადგილე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე
შორენა ხუბუნაია
ვერიკო ჭიღლაძე
ალექსანდრე კეკენაძე
ირმა ქორთუა
თამარ ლომინაძე
მანანა მახარაშვილი
ნათელა ჩაჩუა
გიორგი ხაბეიშვილი
ნინო ბოკუჩავა
გენადი კვერენჩხილაძე
ნინო მოწყობილი
მარიამ გელდიაშვილი
ეკატერინე გიგაშვილი
ალექსანდრე ჩალათაშვილი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
ლელა მაისურაძე
მაია თოიძე
ნათია იორდანიშვლი
თამარ ახალაძე
მაია ხურცილავა
მაგული მებონია
მაია ომიაძე
ტიტე ბოლქვაძე
თამარ რემიშვილი
ნიკოლოზ კიკნაველიძე
ანა უგულავა
თეა ხარაზიშვილი
თამარ გიორგობიანი
მედეა ზურაბიშვილი
გივი დოლიძე
ალინა კუპრავა
მანანა მოისწრაფიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:10 საათი

საბჭოს თავმჯდომარე მივლინებით იმყოფებოდა ქალაქგარეთ, თუმცა ჩართული იყო საბჭოს მიმდინარეობაში. მისი დავალებით, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შორენა ჯაფარიძე.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „თმის მომსახურების“, „მხატვრული ქსოვის“, „კულინარიის ხელოვნე-ბის“, „კონდიტერიის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ „მერმისისისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
7. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მებოსტნე“- მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „წყალარინების სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ჰქონდა ცენტრს, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის თხოვნით მეორე და მესამე საკითხები გადმოტანილ იქნა მეთორმეტე და მეცამეტე საკითხად, ხოლო დანარჩენი საკითხების თანმიმდევრობა არ შეცვლილა.

განახლებული დღის წესრიგი :

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „თმის მომსახურების“, „მხატვრული ქსოვის“, „კულინარიის ხელოვნე-ბის“, „კონდიტერიის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ „მერმისისისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მებოსტნე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

9. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „წყალარინების სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითის განხილვა;
12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტის ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ექსპერტის ანგარიშს და საქმის მასალებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი და შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის შესახებ საკითხი განიხილებოდა მესამედ. საკითხის განხილვა დაიწყო გასული წლის 20 დეკემბერს და მონიტორინგის დასკვნა მოსმენილი იყო აღნიშნულ სხდომაზე და კვორუმის არ ქონის გამო გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. აღნიშნული საკითხის განხილვა 24 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე გაგრძელდა და დაისვა ბევრი კითხვები ექსპერტების მიმართ, ასევე, ცენტრს ჰქონდა საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა. ცენტრი ითხოვდა საბჭოს განეხილა დაგვიანებით შემოსული შესაბამისობის გეგმა, რომელიც დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დეკემბრის თვეში, თუმცა, აღნიშნულ საკითხზე ვერ მოხდა შეთანხმება და საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, აზრთა სხვადასხვაობის (პრაქტიკულად თანაბრად გაიყო ხმები) გამო.

ასევე, ნანი დალაქიშვილმა 24 დეკემბრის სხდომის ოქმის ამონარიდი გააცნო დამსწრე პირებს: „ *საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ მათთვის მიეწოდებინათ შემდეგი სხდომისთვის მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია, რაც საკითხის უკეთ გარკვევაში დაეხმარებოდა საბჭოს“.*

ამის შემდეგ, სამსახურმა ცენტრის ხელმძღვანელობასთან განიხილა საბჭოს შუამდგომლობა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და ცენტრის დირექტორის ხელშეკრულებით კიდევ ერთხელ დაევალა ექსპერტ ქეთევან ჯანელიძეს შეეჯერებინა საკუთარი დასკვნა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და ასევე მტკიცებულებები, რომლებიც მოგვიანებით წარმოადგინა დამატებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა, აღნიშნული შეეჯამებინა და წარმოედგინა ანგარიში, რომელიც მიეწოდებოდა საბჭოს, რაც განხორციელდა კიდეც.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ქეთევან ჯანელიძეს.
ქეთევან ჯანელიძის განცხადებით, იგი, შეისწავლა რა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა და მტკიცებულებები, თვლის, რომ სტანდარტის რიგი კომპონენტები/ინდიკატორები, რომლებიც მონიტორინგის დასკვნაში შეუსაბამოდ იყო შეფასებული, შესაბამისობის გეგმის შესწავლის შემდეგ შესაძლოა განსხვავებულად შეფასდეს. კერძოდ, 3.1.1.1 ინდიკატორი მეტწილი შესაბამისობიდან შესაძლებელია შეფასებულიყო, როგორც შესაბამისი, მისი განმარტებით, წარმოდგენილია ბრძანებით № 01-03/29 (09 დეკემბერი 2021) დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, განმეორებითი შეფასება, გასაჩივრება, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში სწავლის დასრულება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სარგებლობა, მატერიალურ- ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხები.
4.1.1.1 ინდიკატორი, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განისაზღვრასთან დაკავშირებით, დაწესებულების გეგმის თანახმად აღნიშნული პუნქტის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 2 თებერვალი. წარმოდგენილი ვადა სრულიად საკმარისია სამუშაო აღწერილობების, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრისათვის, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ანგარიშში წარმოდგენილი იყო ორი დოკუმენტი და ერთი საერთო დებულება, სადაც ჩაშლილი იყო თუ ვის რა უფლება/მოვალეობები ჰქონდა. ექსპერტის განმარტებით აცდენაში მოდიოდა ერთმანეთთან და ამიტომ საჭირო იყო მეტი მუშაობა და გამართვა ამ ნაწილის.
4.1.1.2 ინდიკატორი და 4.1.2.1 ინდიკატორი, მეტწილი შესაბამისობიდან შესაძლებელია გადავიდეს, როგორც სრულად შესაბამისი, დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ ბრძანებით (№ 01-03/29 09 დეკემბერი 2021 წელი) დამტკიცებული ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი პირის ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც ყველა არსებითი პირობა გათვალისწინებულია.
5.1.1.1. ინდიკატორი - შენობის ფლობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომელშიც ერთი მხარე (საქართველოს საპატრიარქო) მეორეს (ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი) , თხოვების პრინციპით, 10 წლის ვადით გადასცემს ქონებას განკარგვაში. ამის შემდეგ, ასევე, შემოწმდა საჯარო რეესტრის მონაცემები, სადაც დაფიქსირებულია განაცხადი ხელშეკრულების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრში შეჩერებულია წარმოება.
5.1.1.2.ინდიკატორი, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების რექტორის ბრძანების თანახმად (მოძრავი პანდუსების მოწყობის ბრძანება 01–03/27, 8.12.2021) პანდუსების მოწყობის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 20 იანვარი. დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომელზეც დაფიქსირებულია აკეცილი ხის პანდუსები.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ თითქმის ყველაფერი შეასრულა, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობებიდან დარჩა მხოლოდ გათბობისა და სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი, თუმცა აღნიშნულის შესრულების ვადა დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 2023

წლის მაისამდე. ექსპერტის თქმით, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ დანიშნა პირი, ხელშეკრულებით აიყვანა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, გაწერა ყველა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე ჩაატარა ტრენინგი. ექსპერტის განმარტებით, გაწერილი აქტივობა რომელიც დაწესებულებაზე იყო დამოკიდებული, შესრულდა და გაწერილ გეგმას მიჰყვებიან თანმიმდევრულად. რაც შეეხება გათბობას, გათბობის სისტემის მონტაჟი მიმდინარეობს, შუახევის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება დასრულდება 2023 წლის მაისამდე, რის შემდეგაც, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ცენტრალური გათბობა ამოქმედდება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგელებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე გოგიტა მშვენიერაძეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტს თემურ ტუნაძეს. თემურ ტუნაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული საქმიანობისთვის. მისი თქმით, დაწესებულებას ალტერნატიული გათბობის გამოცდილება ჰქონდა ელექტროენერგიის საშუალებით. ცენტრალური გათბობა იყო ნაწილ შენობაში და როგორც შუახევის მუნიციპალიტეტისგან ჰქონდათ ინფორმაცია, გაზიფიცირება მუნიციპალიტეტში დასრულდებოდა 2023 წლის მაისში და პროფესიული პროგრამებისთვის განკუთვნილ შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემა გამართული იქნებოდა, მაგრამ თუ პრობლემა შეიქმნებოდა გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, ელექტრო გამათბობლებიც ჰქონდათ დაწესებულებაში.
ასევე, წარმომადგენლის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში რიგი სამუშაოები დაწყებული ჰქონდა დაწესებულებას. დაწესებულებაში განხორციელებული იყო ინსტიტუციურ დონეზე სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც გულისხმობდა უსაფრთხოების საკითხების დაკმაყოფილებას.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

სათათბირო დროის გავლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი კენჭისყრაზე და მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

გადაწყვეტილების მიღებამდე ნანა ყუფუნიამ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა და არ ჰქონდა საბჭოს ფაქტობრივად სამართლებრივად სხვა საფუძველი, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიეღო მხედველობაში, რადგან ცენტრმა წარმოადგინა და დაუშვა ასეთი პრეცედენტი, ნანა ყუფუნია არ შედიოდა იმ ნაწილში, რამდენად ცენტრს შეეძლო ან არ შეეძლო ამის დაშვება, საბჭო იდგა მოცემულობის და ფაქტობრივი გარემოების წინაშე, რომ არსებობდა შესაბამისობის გეგმა, ამიტომ თანახმა იყო შეწყვეტილიყო ადმინისტრაციული წარმოება სასწავლებლის მიმართ, შესაბამისად დაწესებულებას მიენიჭა უფლება გაეგრძელებინა საქმიანობა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ის მესამე წელია საბჭოში და ამდენი ხნის განმავლობაში რამდენჯერმე დადგა აღნიშნული დაწესებულების საკითხი ასე მწვავედ, იყო საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ იმ მნიშვნელობას, რაც ამ სასწავლებელს ჰქონდა პოლიტიკურად ქვეყნისთვის, იმ რეგიონისთვის სადაც ფუნქციონირებდა, ვერ აცნობიერებდა თავად ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა.
შესაბამისად, მიმართა შუამდგომლობით ცენტრს, როგორც ავტორიზაციის საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ და წევრმა, ასევე საქართველოს რიგითმა მოქალაქემ, რომელიც კარგად აცნობიერებდა ასეთი სასწავლებლის გამართულად ფუნქციონირების მნიშვნელობას, ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც იყო მაღალმთიანი აჭარა, მიემართა ცენტრს შესაბამისი უწყებისთვის შუამდგომლობით, გადახედილიყო ამ უნივერსტეტის მენეჯმენტის საკითხი.

ამის შემდეგ ნანა ყუფუნიამ მიმართა ცენტრს, რომ სხვა დაწესებულებების მიმართაც განხორციელებულიყო იგივე თავდადება ცენტრის მხრიდან, სხვა დაწესებულებების მიმართაც შექმნილიყო სამართლებრივი ბაზა, რომ სხვა დაწესებულებებსაც ჰქონოდათ მხარდაჭერა.

ნანი დალაქიშვილის განცხადებით, ცენტრის მიდგომები თავიდანვე იყო ორიენტირებული განვითარებაზე, მაგრამ პროცესებმა ცხადყო, რომ ახალი სტანდარტები იმაზე მეტად მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე სისტემა იყო ამისთვის მზად და ხშირი იყო მონიტორინგები.

საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამაც დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მისი თქმით, ხელახალი/დაგვიანებით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საკითხის განხილვა გარკვეულწილად უხერხულობას ქმნიდა, ამასთანავე საბჭო აცნობიერებდა სასწავლებლის მნიშვნელობას, ასევე იმას, რომ სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაძლებელი იყო დაზარალებულიყვნენ სტუდენტები და მათი ინტერესები.

ამის შემდეგ შორენა ჯაფარიძემ მიმართა ცენტრს. მისი განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას ნათლად გამოიკვეთა ბევრი პრობლემა ავტორიზაციის დებულების იმ ნაწილში, რომელიც პროფესიულ განათლებას ეხებოდა, სასურველი იყო მეტი დეტალიზაცია და სიზუსტე ზოგიერთ მუხლში, სწორედ ეს იყო ერთერთი მიზეზი, რის გამოც ასე გაჭიანურდა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მან აქვე აღნიშნა, რომ ჰქონდა ინფორმაცია, რომელიც სამსახურმა მიაწოდა, რომ უკვე მიმდინარეობდა დებულების ცვლილებებზე მუშაობა, რაც მნიშვნელოვანია. მან შემდეგ მიმართა დაწესებულებას, რომ გადაეხედათ თავინთი სტრატეგიისთვის და პროგრამებისთვის და ურჩია დაემატებინათ ისეთი პროგრამები, რომელიც უფრო მეტად იქნებოდა ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფდა მეტი სტუდენტის დაინტერესებას და მოზიდვას.

ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემაც დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და აღნიშნა, რომ მისი ექსპერტობის პერიოდში (2008 წლიდან დღემდე) ყველაზე რთული წარმოება იყო და მადლობა გადაუხადა ყველას კონსტრუქციულობისთვის. მას სურდა, რომ საკუთარ თავთან ყოფილიყო მართალი. ის დაეთანხმა სრულად ნანა ყუფუნიას და აღნიშნა, რომ ექსპერტები ძალიან რთული და დიდი მისიით მიდიან დაწესებულებებში. მას მიაჩნია, რომ რეგიონში დაწესებულების მნიშვნელობა მარტო პროგრამების სრულფასოვანი შეთავაზებით არ არის განპირობებული, მიდგომა საქმის მიმართ უნდა იყოს სხვანაირი. ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობა, თუნდაც პროცესში ჩართული ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობაც განაპირობებს შემდეგ ზოგადად იმ მიდგომებს რა მიდგომებითაც უნივერსიტეტი მუშაობს. ამ ნაწილში აღნიშნული იყო გადასახედი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, სხდომაზე წარმოდგენილი ექსპერტის ანგარიშის, პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 247865289) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სრული მონიტორინგის (ყველა სტანდარტი, ყველა პროგრამა) განხორციელებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2023 წლის 15 მაისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, საბჭოს სხდომაში ჩაერთო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა დაზუსტება, რომელი უწყებისთვის უნდა მიემართა ცენტრს უნივერსიტეტის მენეჯმენტის საკითხის გადახედვასთან დაკავშირებით, რაზეც ქალბატონი ნანა ყუფუნიასგან მიიღო პასუხი, რომ საქმე ეხებოდა უნივერსიტეტის დამფუძნებელ უწყებას და საბჭოს შუამდგომლობის შემდეგ, ცენტრი განსაზღვრავდა, ვისთვის უნდა მიემართა. ამის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა დააზუსტა, რომ ამ უნივერსიტეტის დამფუძნებელია საქართველოს საპატრიარქო. შემდგომ მთავარეპისკოპოსმა სპირიდონმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს და საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებისთვის, ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია, რომ ბავშვებს მისცენ ძალიან კარგი განათლება, უნივერსიტეტს 1766 დიპლომირებული კურსამთავრებული ჰყავს და ისინი მთელს აჭარაში წარმატებით საქმდებიან და შესარჩევ კონკურსებში სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს კონკურენციას უწევენ და საქმდებიან. მას აინტერესებს, თუკი უნივერსიტეტი ასეთი წარმატებულია, ასეთი ხშირი მონიტორინგი რითია განპირობებული, რაზეც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ უპასუხა,რომ რაკი უნივერსიტეტი სამართლებრივ სივრცეშია, ავტორიზაცის სტანდარტები, რაც არსებობს, უნდა დააკმაყოფლონ. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ ეს მისთვის გასაგებია, მაგრამ მიაჩნია, რომ ამდენი მონიტორინგით უნივერსიტეტი არის დაძაბული და თვლის, რომ ასეთ რეჟიმში ძირითად საქმეზე, სტუდენტთა განათლებაზე ორიენტირება ჭირს, მით უმეტეს, რომ, როგორც ყველასთვის ცნობილია, ახალგაზრდობის განათლების დონე ძალიან დაბალია და უნივერსიტეტი დიდ ძალისხმევას დებს მათ სწავლებაში, ჰყავს საუკეთესო ლექტორები მიაჩნია, რომ ძირითადად, სასწავლო პროცესიც გამართულია.

2. ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „თმის მომსახურების“, „მხატვრული ქსოვის“, „კულინარიის ხელოვნე-ბის“, „კონდიტერიის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ

იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა მანანა მახარაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის #19957 ბრძანებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე განისაზღვრა მონიტორინგი ა(ა)იპ - კოლეჯში „პრესტიჟი“, საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „თმის მომსახურება“, „მხატვრული ქსოვა“, „კულინარიის ხელოვნება“, „კონდიტერია“ და „სასტუმრო მომსახურება“- ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. ბრძანებით განსაზღვრული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 31 იანვარსა და 1 თებერვალს, წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ შექმნილ გარემოებას არ უმოქმედია ვიზიტის ხარისხზე, რადგან გამოყენებული იყო ყველა შესაძლებლობა ვიზიტის ორგანიზებისთვის,როგორც ადგილზე დათვალიერება, ასევე ონლაინ ჩართვები, რათა სრულყოფილად წარმართულიყო პროცესი, შემოწმებულიყო ყველა რესურსი და საკითხი, რაც კომპონენტს (2.2) უკავშირდება. მონიტორინგის დროს ადგილზე შემოწმდა და შეფასდა, ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ყველა პროგრამის 2.2. კომპონენტი ინდიკატორების მიხედვით. შესწავლილი იქნა პროგრამისა და მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, შემოწმდა აუდიტორიები და დარგობრივი კაბინეტები. ვიზიტის დროს ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასაუბრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებს. შემოწმებისას კოლეჯში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, შესაბამისად ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა პროგრამების ფარგლებში მეცადინეობებზე დაკვირვებაც განეხორციელებინათ.
შეფასების შედგეგად გამოიკვეთა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები ყველა პროგრამის ფარგლებში ეხებოდა სასწავლო გარემოს მოწყობასა და მატერიალური რესურსის (აღჭურილობის) გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეძენის უზრუნველყოფას (ინდიკატორის 2.2.1. (1)), რაც დაწესებულების მიერ შესრულებული იქნა აბსოლუტურად ყველა პროგრამისთვის, გარდა „სატყეო საქმისა“, ისიც აღჭურვილობის ნაწილზე. „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი აღჭურვილობა, კონტრაქტორის მიერ ვერ იქნა მოწოდებული. იმ მოდულებისთვის, რომელთა აღჭურვილობის კოლეჯისთვის გადაცემა დაგვიანდა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნა ალტერნატიული განხორციელების ადგილის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შეჩევა, რომელმაც გამოხატა მზაობა პროგრამის კვოტის ფარგლებში მიეღო „სატყეო საქმის“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები (დეტალური ინფორმაცია იხ. გვ. 27-32). წინა ადმინისტრირების ფარგლებში დაფიქსირებული იყო ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „კონდიტერია“, „კულინარიული ხელოვნება“ დამატებით პროფესიული მასწავლებლების დადგენილ ვადებში შერჩევა და საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩეული ადამიანური რესურსისათვის ტრენინგების განხორცილება (ინდიკატორი 2.2.1.(3)). აღიშნული რეკომენდაციაც დაწესებულების მხრიდან შესრულებულია, რისი მტკიცებულებებიც იქნა წარმოდგენილი.

ექსპერტის განცხადებით, წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნული რვა პროგრამა, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, განხორციელებული მონიტორინგის შემოწმების საფუძველზე, ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“,„თმის მომსახურება“ „მხატვრული ქსოვა“ „კულინარიის ხელოვნება“ „კონდიტერია“ და „სასტუმრო მომსახურება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტი, ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

გადამოწმებული იქნა ასევე, შესყიდვების პროცესებსა და შესაბამისობის გეგმის ღონისძიებების გატარებას, ხომ არ გამოუწვევია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფერხება/ხარვეზი. დოკუმენტაციის შემოწმებითა და განხორციელებული აქტივობების ანალიზით დადასტურდა, რომ მსგავსი გარემოება არ დამდგარა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განვითარების რეკომენდაციები, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა პროგრამისთვის იდენტური შინაარსისაა. დაწესებულების მიერ რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე „მხატვრული ქსოვა“ გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები: ინდიკატორი 2.1.1 სასურველია „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისების“ მოდულის შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ მოდულის დაწყებას.“ „სასურველია მოდული „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „საფეიქრო მასალის ღებვა“ მოდულის დაწყებას.“ დაწესებულების მიერ განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები სასწავლო გეგმაში: მოდულები, „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები“ ხორციელდება მე-3-მე-9 კვირის განმავლობაში, ხოლო „საფეიქრო მასალის ღებვა“ - მე-8-მე- 20 კვირაში. ასევე, მოდული „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები“ ხორციელდება მე-3-მე-12 კვირას, ხოლო „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ მოდული - მე-13-29-ე კვირას. - რეკომენდაცია შესრულებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: „სატყეო საქმე“, „მხატვრული ქსოვა“, „თმის მომსახურება“, გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1. „გაფორმდეს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განისაზღვრება მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.“ - დაწესებულების მიერ შესაამისი პუნქტები ასახულია ხელშეკრულებაში - რეკომენდაცია შესრულებულია.

3.საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“, „ელექტროობა“, გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: ინდიკატორი 2.2.1„დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშაოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას” - დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია, შემუშავებულია წესი, კორექტირებულია ყველა პროგრამის ბიუჯეტი - რეკომენდაცია შესრულებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: „სასტუმრო საქმე“, „კულინარიის ხელოვნება“, „საკონდიტრო საქმე“, გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: ინდიკატორი 2.2.1. „შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება“ - დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია, კორექტირებულია ყველა პროგრამის ბიუჯეტი - რეკომენდაცია შესრულებულია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

ინდიკატორი 2.2.1.(1). „კულინარიის ხელოვნებისა“ და „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ კაბინეტებში სასურველია გამოეკრას თვალსაჩინოებები (ინვენტრის მარკირების შესახებ სქემები, მოწყობილობა-დანადგარების გამოყენების ინსტრუქციები, უსაფრთხოების ან/და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები და ა.შ.), რაც სტუდენტებისთვის იქნება დამატებითი სასწავლო რესურსი, ხელს შეუწყობს პროფესიული რუტინული სამუშაოებისთვის საჭირო კომპეტენციების მარტივად დაუფლებას, ასევე თვითკონტროლსა და კონტროლს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „თმის მომსახურების“, „მხატვრული ქსოვის“, „კულინარიის ხელოვნე-ბის“, „კონდიტერიის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟში“ (ს/კ: 231287005) „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „თმის მომსახურების“, „მხატვრული ქსოვის“, „კულინარიის ხელოვნე-ბის“, „კონდიტერიის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

საბჭოს სხდომა დატოვა ქრისტინა რზგოევამ.
საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ ჩაგელიშვილი.

3. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის"„მევენახეობა-მეღვინეობის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა

სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ეკატერინე გიგაშვილი და წარმატებები უსურვა.

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ 2022 წლის 07 თებერვალს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულების მიერ 2021 წლის 22 დეკემბერს კვოტის გაზრდის მოთხოვნის განაცხადის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დაწყებული წარმოების ფარგლებში.
საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებულ ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა „მევენახეობა-მეღვინეობის“ დუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად მშვიდ და საქმიან გარემოში. ექპერტების მიერ ადგილზე გადამოწმდა კოლეჯში პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობა 2.2. სტანდარტით დადგენილ ნორმებთან, ამ მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ პლატფორიმის გამოყენებით გასაუბრება პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან, ასევე ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

ექსპერტის განცხადებით, ადგილზე გადამოწმდა საჭირო დოკუმენტაცია, ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური მტკიცებულებით გადამოწმდა თეორიული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო, აღჭურვილობა და მატერიალურ ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 17 თებერვალს შემოსული კორესპონდენციის შესაბამისად, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით იზიარებს და ეთანხმება დასკვნის პროექტში მითითებულ ექპერტთა ხედვებს.

ექსპერტთა შეფასებით კვოტის გაზრდისთვის დაწესებულებას გაჩნია შესაბამისი რესურსი, მათ შორის ახალი ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიებთან და განმახორციელებელთა გაზრდილი რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს, პროგრამის ფორმატის გათვალისწინებით, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ (ს/კ:231287005) დანართით განსაზღვრულ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 24-ით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

4. სსიპ - კოლეჯ „მერმისისთვის" „გრაფიკული დიზაინის შესრულების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა დაიწყო საუბარი ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი იქნა განაცხადი „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასებების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა განრიგი, რომლის მიხედვით განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ვიზუალური დათვალიერება, კერძოდ: მატერიალური რესურსების, სასწავლო გარემოს , ბიბლიოთეკის და სხვა. შედგა გასაუბრება პროგრამის როგორც დარგობრივი მოდულების, ასევე ინტეგრირებული მოდულების

განმახორციელებელ მასწავლებლებთან. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესმა ჩიარა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.
ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება,რომელიც შეესაბამება 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტა სტატუსის მოპოვების პროცედურები. დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 20 ივლისის N 04-375 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი", რომლის თანახმად ,საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. აღნიშნული წესის მიხედვით, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება A,B და C სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსისა და მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობების მიხედვით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელების განაცხადთან ერთად, წარმოდგენილი აქვს „გრაფიკული დიზაინის შესრულების" პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი, რომლის მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში 40 სტუდენტს როგორც არაინტეგრირებული, ასევე ინტეგრირებული პროგრამისათვის. სტუდენთა კვოტის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა კოლეჯში არსებული რესურსი :
გრაფიკული დიზაინის შესრულების AB ინტეგრირებული კომპიუტერული სასწავლო სახელოსნოს გარემო, AB სასწავლო ინტეგრირებულ გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა; Fablab-ში (C გარემო) სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ხატვის ოთახში სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცეები:
ა) ქიმიის ლაბორატორია (AC გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (AC გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა;
გ) გეოგრაფიის აუდიტორია (A გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა; არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო, საერთო პროფესიული და კონცენტრაციის პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა; ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, ზოგადი ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა;
პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის რაოდენობა;
კოლეჯის „ვებტექნოლოგიების", „სასტუმრო მომსახურების", „სარესტორნო მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი ინტეგრირებული მოდულების კვირეული დატვირთვა.

ექსპერტის განმარტებით, სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ საკუთრებაშია „გრაფიკული დიზაინის შესრულების “ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის ზოგიერთი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება გეგმავს პრაქტიკის ობიექტებზე, კერძოდ, მოდულებისათვის: ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა“დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ფავორიტი სტილთან ‘’, რომელიც უზრუნველყოფს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას და შპს ,, თბილისელები პრინტთან’, რომელიც უზრუნველყოფს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ორივე პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სწავლის შედეგის მისაღწევი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. შპს ,,თბილისელები პრინტთან‘’ დადებულია ხელშეკრულება 2019 წელს რომლის მოქმედების ვადა 5 წელია,დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების უწყვეტობის მიზნით გათვალისწინებული იყოს პროგრამის განხორციელების მინიმუმ სრული ციკლი (ინტეგრირებულისთვის 3 წელი) და ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რაზეც დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს და გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, გრაფიკული დიზაინის შესრულება’’ მდგრადობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დანართიN 3-ით განსაზღვრულია მოდულების მინიმუმ ორი განმახორციელებლი მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 30 შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი , მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელი 16 მასწავლებელია, (თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი). ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში 3 პროგრამაზეა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებული, მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ. საერთო პროფესიული მოდულის განხორციელებაში 14 პირია ჩართული , მათ შორის 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების დირექტორს ნონა ღუდუშაურს, რათა დაეფისრირებინა საკუთარი მოსაზრება.
ნონა ღუდუშაურის განცხადებით, კოლეჯს კომპიუტერული გრაფიკის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, შესაბამისად პედაგოგები, რომლებიც სამ პროგრამას ახორციელებენ ასევე იყვნენ ძალიან გამოცდილი კადრები და სწორედ ამან განაპირობა „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამის დამატება. აღნიშნული პროგრამა არის ერთ-ერთი მოთხოვნადი და მისი განმარტებით, იმედი აქვთ რომ მაღალი კვალიფიციური კურსდამთავრებულები ეყოლება კოლეჯს. ნონა ღუდუშაურმა აღნიშნა ექსპერტთა მუშაობა, გუნდურობა, კომპეტენტურობა, სამართლიანობა და ობიექურობა და მადლობა გადაუხადა მათ.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულებას, რომ საბჭოზე არ განიხილებოდა პროგრამის დამატება, პროგრამა უკვე დამატებული იყო და პროგრამის ინტეგრირების შესაძლებლობას განიხილავდა საბჭო. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა კოლეჯს 40 სტუდენტისთვის აღნიშნული პროგრამა ინტეგრირებული მოდულებით განხორციელებულიყო და აღნიშნა, რომ ექსპერტმა გააჟღერა საბჭოზე, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა დამატებული მასწავლებლები. რაკი რამდენიმე ინტეგრირებულ პროგრამას ახორციელებდა კოლეჯი, ის რაოდენობა მასწავლებლების, რომლებიც ჰყავდათ, იქნებოდა თუ არა საკმარისი.

ნონა ღუდუშაურის განმარტებით, პედაგოგების მოზიდვის საკითხს დიდი ყურადღება ექცეოდა და ამჟამინდელი მდგომარეობით სრულად შეძლებდა კოლეჯი აღნიშნულის დაკმაყოფილებას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მერმისისისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მერმისს“(ს/კ:209467646) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

საბჭოს სხდომა დატოვა დეა აბულაძემ.
სხდომას შემოუერთდა ქრისტინა რზგოევა.

5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეოსაქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მებოსტნე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა მაია თოიძეს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტმა დაიწყო საუბარი ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ელექტროობის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, ,,სატყეო საქმის", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „მებოსტნე“, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. წინა ვიზიტების ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერ დადასტურდა, რომ ,,ელექტროობის“, ,,სატყეო საქმის, ,,მებოსტნის“, ,,ბუღალტრული აღრიცხვისა“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და დაწესებულების მიერ წარდგენილი შესაბამისობის გეგმების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფების მიერ პროგრამები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. დაწესებულებამ ყველა პროგრამასთან მიმართებაში მიიღო რეკომენდაცია, რომ შესაბამისობაში მოსულიყო მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის პირველ კრიტერიუმთან და საბჭოს შუამდგომლობით ჩაინიშნა მონიტორინგები.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის მიმდინარეობის დროს პრობლემა არ იყო მხოლოდ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ფარგლებში და სწორედ აღნიშნული პროგრამა შეფასდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ როგორც **სრულად შესაბამისი.**
რაც შეეხება ყველა დანარჩენ პროგრამას ,მატერიალურ რესურსთან მიმართებაში, მათ შორის უშუალოდ სასწავლო გეგმასთან და ცალკეულ პროგრამებთან დაკვშირებით არ იყო უზრუნველყოფილი მეორე კომპონენტის პირველი ინდიკატორის დაკმაყოფილება და შესაბამისად დასკვნის პროექტში, იქიდან გამომდინარე რომ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაც, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 4 პროგრამა: „ელექტროობა“, „მებოსტნე“, „სატყეო საქმე“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეფასდა როგორც **არ შეესაბამება.**
ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, რამდენად რელევანტული იყო და რამდენად მისი იმ ვადებში განხორციელება არ შეუშლიდა ხელს სასწავლო პროცესის განხორციელებას, იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიტის მიმდინარეობის დროს ყველა პროგრამა მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში, გარდა „ელექტროობის“ პროგრამისა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ელოდა ახალი შენობის აშენებას.
ექსპერტის განცხადებით, 2.2.1 (1) - ,,მებოსტნის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემოთი. დაწესებულებას არ აქვს მოწყობილი C გარემო (სათბური). დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,მებოსტნის“ პროგრამისათვის სათბურის მოწყობა დასრულდება 2022 წლის მაისში (5 თვე). აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მითითებულ ვადაში სათბურის მოწყობის დასრულება საფრთხეს ვერ შეუქმნის პროგრამას შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოს სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს, 5 თვის ვადა საკმარისი იყო თუ არა სათბურის აშენებისთვის.

მაია თოიძის განცხადებით, ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული სიტუაცია. მისი განმარტებით, დაწესებულებას შესყიდული ჰქონდა ყველა საჭირო ინვენტარი, რომელიც დადასტურდა შესყიდვების დოკუმენტაციით.
შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს, აღნიშნული მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობით იყო ჩანიშნული, მაშინ რა ვადა ჰქონდა მითითებული დაწესებულებას და რატომ ვერ დაიცვა ვადები.
მაია თოიძის განცხადებით, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 539 137 ლარი, რომელიც საჭირო იყო ყველა იმ აქტივობების განსახორციელებლად, რაც დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჰქონდა დაგეგმილი, მას ჩაერიცხა 2021 წლის 27 დეკემბერს და სწორედ აღნიშნული პერიოდის შემდეგ არის ყველა პროგრამასთან მიმართებაში განხორციელებული მისი შესყიდვა.
ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იშუამდგომლა ცენტრის წინაშე, მონიტორინგის გადავადების შესახებ. აღნიშნული თანხების ჩარიცხვა დაუგვიანდა რიგ დაწესებულებებს, ეს არ იყო მხოლოდ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვიან ჩაერიცხათ თანხები და მონიტორინგის განსაზღვრულ ვადებში ვერ მოასწრეს ყველაფრის შესყიდვა. თუმცა, ცენტრმა საჭიროდ ჩათვალა მონიტორინგის განხორციელება, რათა შეფასებულიყო დაწესებულების მდგომარეობა, ამიტომ არ მიმართეს საბჭოს გადავადების თაობაზე.
ექსპერტმა განაგრძო შემდეგი პროგრამის შესახებ საუბარი.
2.2.1 (1) - ,,სატყეო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,სატყეო საქმის“ პროგრამისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის (21 დასახელება) შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.
2.2.1 (1) - ,,ელექტროობის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მათ შორის, არ არის დასრულებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობა. პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,ელექტროობის“ პროგრამისათვის სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის, ხოლო აღჭურვილობის შესყიდვა სრულად დასრულდება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში. მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის (21 დასახელება) შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მ ო ყ ვ ა ნ ა .
2.4.1 (6) - ვინაიდან 2.2.1 კომპონენტის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო, ასევე, ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის

მიხედვით ,,ელექტროობის“ პროგრამისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოს უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტის მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტის განცხადებით, მოდულები: ,,ელექტროტექნიკური მასალები“ და ,,ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“ - სწავლება მიმდინარეობს დისტანციურად. მოდულების ყველა სწავლის შედეგი არ არის მიღწევადი დისტანციურად. განმახორციელებელთა განმარტებით, სწავლებისას იყენებენ თვალსაჩინო ვიდეომასალას. პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, ისევე როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი პარტნიორ კომპანიაში. განმსაზღვრელი შეფასებები არ არის ჩატარებული. მოდულები, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების თანახმად, უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 25 თებერვალს, მაგრამ ორი კვირით შეჩერებული იყო სწავლება, შესაბამისად აღნიშნული მოდულების დასრულების პერიოდიც გადაიწევს. მოდულისათვის ,,ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“ ყველა რესურსი შეძენილია, შესაბამისად, შესაბამისი ლაბორატორიის (C გარემო) უმოკლეს ვადაში მოწყობის შემთხვევაში, ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლებელია დაწესებულების ბაზაზე მოდულის სწავლების წარმართვა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაც. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ლაბორატორიის (C გარემო) მოწყობა დასრულებული იქნება 2022 წლის 2 მარტისთვის. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება აღნიშნული მოდულის სრულფასოვნად წარმართვა. რაც შეეხება მოდულს ,,ელექტროტექნიკური მასალები“ დაწესებულებას სრულყოფილად არ აქვს შესყიდული აღნიშნული მოდულის განსახორციელებლად საჭირო რესურსი, შესაბამისად, ვერ დასტურდება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის და სტუდენტთა შეფასების შესაძლებლობა დაწესებულების ბაზაზე. ასევე, დაახლოებით 2022 წლის 14 მარტის კვირიდან ,,ელექტროობის“ პროგრამაზე იწყება მოდული ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლირების პროგრამირება“. აღნიშნული მოდულის განსახორციელებლად საჭიროა აღჭურვილობის ნაწილი (7 დასახელება) არ არის შესყიდული. შესაბამისად, გამოიკვეთა აღნიშნული მოდულის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების საფრთხეც (2.4.1(1)). წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 2022 წლის 24 თებერვლიდან მოდულზე ,,ელექტროტექნიკური მასალები“ სწავლის შეჩერებას და მის აღდგენას აღჭურვილობის მოწოდების პერიოდის შესაბამისად. ასევე, გეგმით გათვალისწინებულია ელექტროობის მიმდინარე ჯგუფისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება და მოდულის ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლირების პროგრამირება“ გადატანა მეორე სასწავლო წლის დასაწყისში (2022 წლის 09 სექტემბერი), როცა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, უკვე დასრულებული იქნება მოდულისათვის საჭირო რესურსის შესყიდვა. შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია მოდულების მიმდინარეობის ცვლილების ასახვა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ექსპერტები ადასტურებენ, წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით არ შეფერხდება სხვა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ელექტროობის პროგრამის პროფესიულ სტუდენტთან, რომელმაც დაადასტურა სწავლების ყველა ფორმის (დისტანციური სწავლება, შაბათ დღეს დაწესებულებაში სწავლა და ქვესადგურებში ვიზიტები) არსებობა და გამოთქვა სურვილი, რომ დაწესებულებას ჰქონდეს ადგილზე სრულყოფილი ბაზა სწავლებისათვის. მანვე აღნიშნა მასწავლებლების კვალიფიკაციის მაღალი დონე. აქვე უნდა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას პროგრამაში არ აქვს შეტანილი ჩანაწერები, მოდულების სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე და ექსპერტების მიერ შეთავაზებულია განმავითარებელი რეკომენდაცია.
2.2.1 (1) - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში

არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობა. პროგრამისათვის განსაზღვრული B გარემო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომ მასში ჩატარდეს ყველა პროფესიული მოდული. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა", რომლის მიხედვით ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამისათვის სასწავლო გარემოს შეცვლა, არსებული კომპიუტერების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერებით ჩანაცვლება და პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული ორი დასახელების აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 02 მარტს, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვა (21 დასახელება) დასრულდება 2022 წლის 31 მარტს. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, ბევრი რეკომენდაცია იყო წარმოდგენილი, თუმცა რიგ შემთხვევაში არ იყო იდენტიფიცირებული განვითარებისაა თუ შესაბამისობის რეკომენდაცია. მან მიმართა ექსპერტებს, იყო თუ არა დასკვნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ გაუმჯობესების გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული. მას ეჭვი ეპარებოდა რამდენად რეალისტურია გაუმჯობესების გეგმა, ამასთან დაწესებულებაში უკვე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და მატერიალური რესურსის არ არსებობის შემთხვევაში ხომ არ შეექმნდებოდა საფრთხე პროგრამის გამხორციელებას. მან მიმართა ექსპეტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ შეეჯამებინა ყოველივე ზემოთაღნიშნული.

მაია თოიძის განცხადებით, „ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამა იყო სრულად შესაბამისი. „მებოსტნის" პროგრამასთან დაკავშირებით, დაწესებულება 5 თვის ვადაში უზრუნველყოფდა სათბურის კონსტრუქციის აშენებას და აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებოდნენ და სასწავლო პროცესი არ შეფერხდებოდა. „სატყეო საქმის" პროგრამასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ დარჩენილი იყო მხოლოდ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების 21 დასახელების შესყიდვა, ამ შემთხვევაშიც სტუდენტები არ ირიცხებოდნენ პროგრამაზე. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები"- დარჩენილი იყო ორი დასახელების აღჭურვილობა, რომელიც არ ჰქონდა დაწესებულებას, მაგრამ აღნიშნული ხელს არ უშლიდა უახლოეს პერიოდში დასაწყვები მოდულების განხორციელებას და ასევე ოთახი, სადაც მაგიდაზე იყო ყველაფერი მოთავსებული და გადაადგილების საშუალება ნორმალურად დემონსტრირების და პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარების შესაძლებლობა ექსპერტებმა ვერ დაინახეს, თუმცა დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, რომ აღნიშნულ ოთახსშეცვლიდა 2 მარტის პერიოდისთვის. „ელექტროობის" პროგრამასთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება აპირებდა 24 თებერვალს შეეჩერებინა სწავლება იმ მოდულებზე, რომლესთვისაც აკლდა აღჭურვილობა. დაწესებულების მთავარ პრობლემას წარმოადგენდა შემდეგი, როდესაც თანხა ჩაერიცხა, იმ პერიოდში ვერ პოულობდა მომწოდებელს. ექსპერტის განმარტებით, შესაბამისობის გეგმაში დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული მომწოდებლის ორგანიზაციის დასახელება, აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ აიღო მაქსიმუმი, 6 თვის ვადა, იმისათვის რომ აღნიშნული აღჭრუვილობა მათ აკლდათ ყოფილიყო შესყიდული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა მიმართა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერს, ცისკარა ზარანდიას გაეკეთებინა კომენტარი ახალ შენობასთან დაკავშირებით, სადაც დაწესებულება აპირებდა შემდგომ გადასვლას.

ცისკარა ზარანდიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს გაწეული კოლოსალური სამუშაოსთვის. მისი განმარტებით, აღნიშნული

შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულება უნდა დასრულებულიყო გასული წლის სექტემბერში. ამჟამად შენობაში მიმდინარეობდა კაპიტალური სარემონტო სამუშაები. 2022 წლის ზაფხულში იგეგმება შენობაში სარემონტო სამუშაოების დასრულება და დაწესებულებას მოუწევდა ფართის ცვლილებაზე განაცხადის წარმოდგენა ცენტრში.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
შორენა ჯაფარიძემ დააფიქსირა საბჭოს პოზიცია. გამომდინარე იქიდან, რომ რიგ პროგრამებზე წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ჯერჯერობით არ იყო შესრულებული შესაბამისობის გარკვეული პუნქტები, მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ დაწესებულებას წარმოედგინა ანგარიში შემდეგ პროგრამებზე: „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „მებოსტნეობა“. აღნიშნული ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 9 სექტემბერი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მებოსტნე“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:424066977) „ელექტროობის“, „სატყეო საქმის“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „მებოსტნეს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ ავტორიზაციისპირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებას წარმოედგინა ანგარიში შემდეგ პროგრამებზე: „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „მებოსტნეობა“. აღნიშნული ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 9 სექტემბერი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა მაია ომიაძეს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტის განცახებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია საგანმანათლებლო საქმიანობას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისში, წერონისის N208-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. ზემოაღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება დაწესებულების შემდეგი სასწავლო აუდიტორიები: A/C სასწავლო გარემო (აუდიტორია N3) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება); A სასწავლო გარემო (აუდიტორია N1) - გათვლილია 30 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება); A სასწავლო გარემო (აუდიტორია N9) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება); B სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია, აუდიტორია N16) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს სპეციფიკური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია აღნიშნულ A/C გარემოში, შემდეგი მოდულების განსახორციელებლად:
1. საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე;
2. ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი;
3. ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება;
4. ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი;
5. სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული მოდულების განხორციელება პროგრამის სასწავლო გეგმით, პირველი და მეორე სასწავლო ჯგუფების დატვირთვიდან გამომდინარე ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით, ერთ მიღებაზე შესაძლებელია სამი სასწავლო ჯგუფის (25+25+25), 75 პროფესიული სტუდენტის მიღება, ხოლო ორწლიანი სწავლების ფარგლებში - 150 პროფესიული სტუდენტის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეებით, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, მათი გამტარიანობისა და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს და პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობის ყოველდღიურ მატებას. სსიპ - პროფესიული განათლების მართვის სისტემის მონაცემებით, 2021 წლის საშემედგომო მიღებაზე დარეგისტრირებულია 300 აპლიკანტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურების პროგრამის აქტუალობასა და პროგრამაზე

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობას. აღსანიშნავია, რომ რომ პროგრამის შემავალი 24 მოდულიდან, შესაძლებელია 16 მოდულის სრულად განხორციელება დისტანციურად, 7 მოდულის - ნაწილობრივ, ხოლო „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა მხოლოდ კონტაქტური სწავლებით. ეს გარემოება კი, დამატებით იძლევა შესაძლებლობას სასწავლო ცხრილები აეწყოს მოქნილად ჯგუფების/აუდიტორიების განაწილებით, სწავლების შერეული ფორმატის გათვალისწინებით.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ვიზიტის პერიოდში თუ გაიცა რაიმე სახის რეკომენდაციები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა და არც ხარვეზები დაფიქსირებულა.
შორენა ჯაფარიძემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.
ტიტე ბოლქვაძის განმარტებით, დაწესებულებას სასწსვლო რესურსი (აუდიტორიები) დამატებული არ ჰქონდა, მაგრამ რადგანაც პროგრამა 2 წლიანია და ისეა გადანაწილებული მოდულები, რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიდა, ამიტომ თვლის, რომ რესურსი სავსებით საკმარისი იყო მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაკმაყოფილებლად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლები და პრაქტიკის ობიექტები დამატებული ჰქონდა. ასევე, ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის დამფუძნებელს, რომელიც ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელიც იყო. მათთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პრაქტიკის ობიექტს რამდენიმე კურსდამთავრებული დასაქმებული ჰყავდა და მომავალშიც აპირებდა მათ დასაქმებას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 150-ით **(დანართი 3).** გადაწყ ვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

7. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის" „ფრჩხილის მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ანა უგულავას და წარმატებები უსურვა.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა ინდიკატორის ფარგლებში გაიცა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:
2.1.1.1 - მიმართებით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-2, მე-3 და მე-7 მუხლების თანახმად კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. ასევე განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას იღებენ: პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები. მოცემულია პროგრამაში ცვლილებისა და პროგრამის გაუქმების წესი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროცედურის სრულყოფისათვის გადამწყვეტია თითოეული აქტივობის განხორციელებისათვის დადგენილი იყოს კონკრეტული ვადა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ზოგიერთ მუხლში მითითებულია ჩანაწერი „გონივრული ვადა“ რაც საჭიროებს მეტ დეტალიზაციას, რათა თავიდან იქნას არიდებული შემდგომში საკითხის ირგვლივ წამოჭრილი ორაზროვნება.
აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში სასურველია მიეთითოს პროგრამის შემუშავების, დარგობრივი კათედრის სხდომაზე წარდგენის, პროგრამაში ცვლილების შეტანისათვის და ა.შ საჭირო კონკრეტული ვადა.
2.1.1.3 - მიმართებით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 39-ე მუხლში გაწერილია კონტიგენტის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია. აღნიშნულზე დაყრდნობით დაწესებულების მიერ შემუშავებულ და ექსპერტებისათვის წარდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ ფარგლებში სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. დასაბუთების შესაბამისად კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 24-ს. ექსპერტთა მიერ დასტურდება, რომ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს ფართი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 თვეს. აღნიშნული ინდიკატორის შემოწმებისას ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს. კოლეჯს პრაქტიკული მოდულების განსახორციელებლად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინდ. მეწარმე ნ.ლ -სთან, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული პროფესიულ სტუდენტთან ზღვრული რაოდენობა, რომლის გამტარუნარიანობაც ჰქონდა ობიექტს, ვიზიტისას ექსპერტთა მხრიდან დასმულ იქნა დამაზუსტებელი შეკითხვები. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, რომ უზრუნველყოფს 24 პროფესიული

სტუდენტის მომსახურებას, ორ ცვლაში. ექსპერტთა მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში მიეთითოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.
2.1.1.8 - მიმართებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან. კოლეჯში მოქმედ თანამდებობრივ ინსტრუქციებში განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა არ არის რაიმე ცალკე დოკუმენტით დამტკიცებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, რომელსაც ჰქონდა ზოგადი ცოდნა პრაქტიკის განხორციელების შესახებ, თუმცა განიცდიდა დეტალური ინფორმაციის ნაკლებობას კომპონენტის განხორციელების მიდგომების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომების შექმნა, დამტკიცება და პრაქტიკის განმახორციელებელი პირებისათვის გაცნობა.
2.2.1.2 - მიმართებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ მოიცავს 5 პროფესიულ მოდულს, აქედან 2 მათგანი გახლავთ პრაქტიკული კომპონენტი. ხუთივე მოდულის სწავლებას ახორციელებს ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას მასთან ერთად უზრუნველყოფს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც მოწვეულია პარტნიორი ორგანიზაციიდან. როგორც დოკუმენტურად, სასწავლო გეგმით, ასევე კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან გასაუბრებაზეც დადასტურდა, რომ არცერთი მათგანის საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს ცალკე ორგანიზებული მასწავლებელთა დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტი ექსპერტებს მოუწიათ აღნიშნული ინფორმაციის მოძიება სასწავლო გეგმაში. ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია და განემარტა დაწესებულებას, რომ უმჯობესია ცალკე იქონიოს მასწავლებელთა დატვირთვის დოკუმენტი/ბადე, რათა თავად დაწესებულებისათვის და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერი სხვა წარმოების ფარგლებში მარტივად იქნას მოძიებული ეს ინფორმაცია.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის თეორიულ მოდულებს (სულ 3 მოდული) ახორციელებს ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ასევე გახლავთ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისად იმისათვის, რომ მისი ადმინისტრაციული და წმინდა პედაგოგიური ფუნქციების შესრულებებისას არ შეიქმნას რაიმე შეფერხება ექსპერტთა მიერ ამ ინდიკატორის ფარგლებში გაიცა კიდევ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ, ექსპერტებმა ურჩიეს დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ დამატებით ერთ პროფესიულ მასწავლებელთან გააფორმონ ხელშეკრულება პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით.

2.3.1.1 - მიმართებით, კარგი იქნებოდა დაწესებულების მხრიდან თუკი მოახდებოდა დაინტერესებული მხარეების წერილობითი გამოკითხვების შედეგების შეგროვებას. ექსპერტთა მიერ ინდიკატორის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწა, დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება.
2.4.1.6 - მიმართებით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის

ხელმძღვანელის განმარტებით დარგის სპეციფიკის გათვალიწინებით გამოიყენება საქართველოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული ნორმატიული ძალის მქონე დოკუმენტები (დადგენილებები).
პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებული იქნა და ექსპერტების წარედგინა ზემოთდასახელებული ნორმატიული აქტებიდან ის კონკრეტული მუხლები/პუნქტები, რომლებიც რელევანტურია მოდულების განხორციელებისას, თუმცა აღნიშნული მუხლები თავმოყრილი და ცალკე დოკუმენტად ორგანიზებული დღეის მდგომარეობით არ აქვს კოლეჯს. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელს განემარტა და მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოფ საჭირო ნორმების თავმოყრა ერთ დოკუმენტში, ასევე მისი ადაპტირება კანონის ენიდან კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის მეტად აღსაქმელ ენაზე და მისი დამტკიცება კოლეჯში მოქმედი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

2.4.2.2 - მიმართებით, სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად არეგულირებდეს ვერიფიკაციის ისეთ ძირითადი ეტაპებს, როგორებიცაა: ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა, განხილვის ორგანიზება, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმება და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა. ასევე გაიწეროს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. კოლეჯში დღეს მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

ბელა ავალიშვილის განმარტებით, კოლეჯი ორიენტირებული იყო განვითარებაზე და ყველა გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხის სამსახურიც მუშაობდა აღნიშნულზე, ასევე უნარების სააგენტო მუშაობდა გარკვეული დოკუმენტების შექმნაზე და კანონმდებლობებზე, ჩამოყალიბდებოდა ეს ყოველივე და სასწავლო პროცესის დაწყებამდე ყველაფრის სისტემატიზაცია მოხდებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“„ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ “ოპიზარს“(ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

8. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის" „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

9. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის" „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა თამარ გიორგობიანს, სთხოვა, მას, რომ რაკი ორ წარმოებაზე იყო თავმჯდომარე, ერთიანად წარმოედგინა პრეზენტაცია და გამოეკვეთა მსგავსი და განსხვავებული რეკომენდაციები.

ექსპერტმა ისაუბრა გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ:
2.1.1.1 - მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კომპონენტი, სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს პროცედურები, მაგალითად, ვინ შეიძლება იყოს პროგრამის დამატების ინიციატორი, სავარაუდოდ, რა ვადებში ხდება პროგრამის დამატების ინიციატივის, შემუშავებისა და დამტკიცების განხილვა. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2.1.1.3 - მიმართებით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სასწავლო გარემოს თანაფარდობა პროფესიულ სტუდენთან, რაც სავალდებულო იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი სტანდარტით. სასურველია, კოლეჯმა მოდიფიცირება გაუკეთოს აღნიშნულ რეგულაციას და კონტიგენტის დაგეგვის პროცესში ასევე გაითვალისწინოს ფინანსური რესურსების კომპონენტიც. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2.2.1.1 - მიმართებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე საჯარო სკოლასთან, რომელიც ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვის“ მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო ექსკურსიების მოწყობას. სასურველია, აღნიშნული გარემოება მოდულშიც იყოს გაწერილი. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2.1.5 - მიმართებით, დარგის სპეციფიკისა და საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვალებადობის გათვალისწინებით, სასურველია, დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმოს „საკანონმდებლო მაცნესთან“, რაც საშუალებას მისცემს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, საჭიროებიდან გამომდინარე, მყისიერად ჰქონდეს წვდომა უახლეს ნორმატიულ ბაზასთან. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.4.1.1 - მიმართებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები, საიდანაც დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული და მოდულური სწავლების გამოცდილება, აქტიური კომუნიკაცია აქვთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, უშუალოდ მონაწილეობდნენ პროგრამისა და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში. თუმცა გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პროგრამის რამდენიმე პროფესიული მოდულის განმახორციელებელია და პარალელურად ადმინისტრაციულ პოზიციაზეცაა დასაქმებული. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას, გაუზიარა მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოახსენა, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული პოზიციით დაკისრებული მოვალეობების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების ერთდროულად ხარისხიანად და ჯეროვნად შესრულება მარტივი საქმე არ არის, სასურველია, პროგრამას უხელმძღვანელოს ისეთმა პირ(ებ)მა, რომლებიც სრულყოფილად შეძლებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება- განვითარებასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებას, რაც კოლეჯის წარმომადგენლებმაც გაიზიარეს - კოლეჯმა მყისიერად მოახდინა რეაგირება და პროგრამას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არ არის ადმინისტაციულ პოზიცაზე დასაქმებული და არ დგება ეჭვქვეშ მისი დატვირთვის და ხარისხიანად მუშაობის საკითხი. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.4.2.2 - მიმართებით, სასურველია, დაიხვეწოს ვერიფიკაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და პროცედურები, უფრო დაწვრილებით აღიწეროს ვერიფიკაციის შედეგები და შემდგომი უკუკავშირი. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ამის შემდეგ ექსპეტმა ისაუბრა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა ერთი რეკომენდაცია, რომელიც გაიცა ექსპერტთა მხრიდან, კერძოდ:
2.2.1.4 - მიმართებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები, საიდანაც დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული და მოდულური სწავლების გამოცდილება, აქტიური კომუნიკაცია აქვთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, უშუალოდ მონაწილეობდნენ პროგრამისა და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში. თუმცა, თუკი პროგრამას ერთზე მეტი ხელმძღვანელი ეყოლება, სასურველია, გაიმიჯნოს და დაკონკრეტდეს მათ მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ბუღალტრული აღრიცხვის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ “ოპიზარს“(ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ- კოლეჯ “ოპიზარს“(ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

10. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა თამარ რემიშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა ისაუბრა გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ:
2.2.1.-1.(1) - მიმართებით, ექსპერტების მიერ დათვალიერებული მარტივის ტიპის დამხმარე სასათბურე ნაგებობა, იძლევა შესაძლებლობას პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული, თუმცა მომავალში გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერაში გაკონტროლებული უნდა გვქონდეს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სარგავი მასალის / ჩითილების გამოშრობა. შესაბამისად სასურველია კოლეჯმა, სამომავლოდ გაითვალისწინოს და სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერის შემცვლელი მარტივი ტიპის სასათბურე მეუნრეობა აღჭურვოს ნისლის გამფრქვევი სპეციალური სპინკლერებით, რომლებიც მთელი სათბურის პერიმეტრზე უზრუნველყოფენ ფარდობითი ტენიანობის გაზრდას.
2.2.1-1.(2) - მიმართებით, რეკომენდირებულია უახლოეს დროში კოლეჯმა გააფორმოს ხელშეკრულებები კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, სადაც დაზუსტებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო დრო და პირობები.
5.1.2 -2. - მიმართებით, კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოებასა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. მას კომპეტენტური პირის/ორგანოს მიერ ჩატარებული აქვს გადამზადება პირველად სამედიცინო დახმარებაში, თუმცა ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ კოლეჯმა უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით მედდის დანიშვნა კოლეჯში.
5.2.3-2. რეკომენდირებულია კოლეჯის უცხოენოვანი ვებ-გვერდის სრულყოფა, რადგან კოლეჯი გეგმავს საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნას.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

ნინო ქავთარაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციებისთვის და იმ სკულპუროზული დამოკიდებულებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანი იყო კოლეჯისთვის. მისი განმარტებით, ნისლის წარმომქნელი აპარატი, რომელზეც ისაუბრა ესპერტმა, დაწესებულებას უკვე შეძენილი აქვს და ადგილზეა მიტანილი. აღნიშნული აპარატის მოწყობა მოხდებოდა უახლოეს პერიოდში. ხოლო რაც შეეხება ტრასპორტს, მისი თქმით, გაფორმებულია ხელშეკრულება მასწავლებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და კოლეჯს მოემსახურება ავტობუსი, დაწესებულების სახსრებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასაკითხი სსიპ-კოლეჯ "მოდუსის"„მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ-კოლეჯ "მოდუსის" (ს/კ: 216350829) „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

11. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის" „წყალარინების სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ალინა კუპრავას და წარმატებები უსურვა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა იმის შესახებ თუ რატომ განხორციელდა კოლეჯში მონიტორინგი. ამ შემთხვევაში მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა „წყალარინების სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულური ფორმიდან დუალურ ფორმაზე გადასვლა, ერთადერთი გზა ადმინისტაციული წარმოებისა იყო მონიტორინგი და ამიტომ განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი კოლეჯში.
ამის შემდეგ ექსპერტმა განაგრძო საუბარი და აღნიშნა, კოლეჯში რეკომენდაციები და ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2019 წელს კოლეჯმა მიიღო უფლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალარინების სისტემები“, რადგან აღნიშნული პროგრამით ხდება ერთ-ერთი მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიის შესწავლა. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოებას. კომპანია ევრომასტერის მოთხოვნით, რომელიც მრავალი წელია წარმატებით ოპერირებს ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე, მიზანშეწონილია პროგრამის 57% განხორციელდეს აღნიშნული კომპანიის ჩართულობით, მის ბაზაზე, აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მხარეებს შორის გაფორმებული

ხელშეკრულება, დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მიდგომის ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს, რადგან პროფესიული სტუდენტი განათლებას მიიღებს უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდებას, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების შესაბამისად საწარმო იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტებთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გადაუხდის გარკვეულ ანაზღაურებას, რომელიც საქმის მოცულობის შესაბამისად მზარდი იქნება, რასაც ადასტურებს ასევე გასაუბრებით კოლეჯის და საწარმოს წარმომადგენლები. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“, კოლეჯმა შეაფასა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები, რომლის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული პროგრამის ცვლილება დუალური მიდგომით. დოკუმენტაციის ანალიზის და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.
ექსპერტის განცხადებით, „წყალარინების სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ორ მიღებაზე, რომლის განსახორციელებლად გამოიყენება კოლეჯის შემდეგი რესურსები: ორი A გარემო გათვლილი თითოეული 15 პროფესიულ სტუდენტზე , ორი B გარემო (კომპიუტერული კლასი) თითოეული გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, ასევე ერთი C გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე და ერთი AC გარემო გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, აღჭურვილი სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი რესურსებით. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი შესყიდულია კოლეჯის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი შესყიდვისა და მიღება ჩაბარების დოკუმენტებით. დაწესებულებას პროგრამის დუალურად განხორციელების მიზნით.გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ევრომასტერთან. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს დუალური სწავლებისთვის განკუთვნილი საწარმოს ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში წყალარინების სისტემების სპეციალისტების დეფიციტის შესახებ და აგრეთვე, იმ რესურსების თაობაზე, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტის მომზადება მათი ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ყველა გარანტია პროგრამის ფარგლებში საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების მატერიალური და კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფაზე 30 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულება გეგმავს თითოეულ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას,სასწავლო გეგმა ორწელზეა გათვლილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი).
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „წყალარინების სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ (ს/კ: 208183605) „წყალარინების სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7).**

12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა შორენა ხუბუნიას და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა ისაუბრა სრული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებებთან დაკავშირებით, კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 1.2.2.1 და 1.2.2.2 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, ინდიკატორი 1.2.2.1-ის შემთხვევაში დაგეგმილია სტრატეგიული გეგმის შუალედური ანალიზი, ხოლო ინდიკატორი 1.2.2.2-ის შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და "ვებტექნოლოგიები" მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 2.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია კოლეჯის მიერ პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელებით, ამასთან აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მესამე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 3.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 4.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 4.2.1.1 და 4.2.1.2 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, ორივე ინდიკატორის შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეხუთე სტანდარტი შეფასდა შეუსაბამოდ შესაბამისად, რადგან: - 5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“, რაც განპირობებულია 5.1.2.1 ინდიკატორის მეტწილი შესრულებით. დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიაუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ასევე, ინდიკატორი 5.1.1.7-ის მოთხოვნები შესრულებულია მეტწილად, კერძოდ, იდენტიფიცირებულია მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ

დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 5.2.1.4, 5.2.2.2, 5.2.3.2 და 5.2.3.6 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, 5.2.1.4 და 5.2.3.6 ინდიკატორების შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. 5.2.2.2 ინდიკატორის შემთხვევაში დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს საქმისწორამოების ელექტრონული სისტემა, ხოლო 5.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების მიზნებისათვის დაგეგმილია კოლეჯის ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნა. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს„საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში“ (ს/კ:405318570) განხორციელებულ ავტორიზაციისპირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით. საბჭომ მიმართა ცენტრს მონიტორინგის შუამდგომლობით ყველა სტანდარტის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

13. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის "ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ირმა ქორთუას და წარმატებები უსურვა.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ნანი დალაქიშვილმა, მან განმარტა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული ერთ-ერთი პროგრამა იყო „ვებტექნოლოგიები“, რამდენადაც მონიტორინგის ფარგლებში 2.2. კომპონენტი ამ პროგრამისთვის სრულად შესაბამისად შეფასდა, ამდენად, ცენტრმა დღის წესრიგში შეიტანა ამ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი, რადგანაც ამ წარმოებაში 2.2. კომპონენტი ფასდება. სხვა მოცემულობით ამ საკითხვის განხილვა არ მოხდებოდა.
ექსპერტის განცხადებით, შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯს“ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო მიზნების რეალიზაციისათვის. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 15, დაწესებულებას ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლენლო პროგრამაზე ეყოლება - 30 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე მიიღებენ 30 პროფესიულ სტუდენტს, ერთ ცვლაში, ორ ჯგუფად (15-15 სტუდენტი თითოეულ ჯგუფში).
ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლენლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A გარემო - დაწესებულებამ იჯარით დაიმატა მესამე სართული სადაც გამოყო ორი ოთახი 15-15 პროფესიულ სტუდენტზე, მხოლოდ ვებტექნოლოგიების პროგრამისათვის თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული

კოლეჯს“ (ს/კ: 405318570) დანართით განსაზღვრულ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 8).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ, 17:51 საათზე საბჭოს სხდომა დასრულდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა-მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინის შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი,დავით გურამიშვილის ჩიხი N 9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, წერონისის ქ. N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	150
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ფრჩხილის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

დანართი 7

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	წყალმომარაგების სისტემები (1, 2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში კოდი 0732	52	82	ქართული	40 (1) 5 (2)	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
2	წყალარინების სისტემები (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში კოდი 0732	52	82	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
3	ელექტროობა (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში კოდი 0713	52	67	ქართული	115 (1) 5 (2)	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
4	ელექტროობა (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში კოდი 0713	70	100	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
5	შემდუღებელი (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში კოდი 0715	79	109	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10

6	შემდუღებელი (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში კოდი 0715	38	53	ქართული	115 (1) 5 (2)	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
7	სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში კოდი 0732	58	73	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
8	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში კოდი 0213	85	115	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
9	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში კოდი 0712	120	150	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
10	საბათქაშე სამუშაოების მწარმოებელი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში კოდი 0732	58	73	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
11	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში კოდი 0731	90	120	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10

12	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	58	73	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
13	ჰაერის კონდიცირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 0713	52	82	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
14	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალ იფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	78	93	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
15	საავტომობილო გზების მშენებლობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	79	94	ქართული	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10
16	ქვის სამუშაოების მწარმოებელი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 0732	58	73	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ.N10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე საფეხური	ვებინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	12	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10
2	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1)	მეხუთე საფეხური	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	101	131	ქართული	16	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10
3	ზეინკალ-სანტექნიკოსი (1, 2)	მესამე საფეხური	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	71	86	ქართული	15	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10
4	ფილამწყობი (1, 2)	მესამე საფეხური	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	6	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10

5	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი (1)	მესამე საფეხური	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040777	66	81	ქართული	25	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	მესამე საფეხური	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769	60	ქართული	9	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10
2	ძრავის შემკეთებელი	მესამე საფეხური	ძრავის შეკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	13	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10
3	დურგალი	მესამე საფეხური	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040952	60	ქართული	15	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ.N10

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94